საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
განათლების, კულტურისა და სპორტის
სამინისტრო

GEORGIA
AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA
MINISTRY
OF EDUCATION, CULTURE AND SPORT

MES 4 20 0000496567

22/06/2020

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს
განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის
საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს
ბატონ ვლადიმერ მგალობლიშვილს

ბატონო ვლადიმერ,

2020 წლის 12 ივნისს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში შემოვიდა თქვენი 12.06.2020 წ. N09-02-16/188 კორესპონდენცია (სამინისტროში რეგისტრ. N463824), რომლითაც მოთხოვნილია ინფორმაცია რიგი საკანონმდებლო ცვლილებებით გამოწვეულ შედეგებთან დაკავშირებით.
წარმოგიდგენთ ინფორმაციას კორესპონდენციით მოთხოვნილ საკითხებზე:

განათლების სფეროში, ,,უმაღლესი განათლების ხელშეწყობა" ქვეპროგრამის ფარგლებში, 2019 წელს, გრანტი გაიცა 31 სუბიექტზე:
ა) ,,კვალიფიკაციის ამაღლება" - დაფინანსდა ოთხი კონკურსანტი (გრანტის ოდენობა - 20 980 ლარი);
ბ) ,,სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა" - დაფინანსდა 11 კონკურსანტი (გრანტის ოდენობა - 26 270 ლარი);
გ) ,,კონფერენციის ორგანიზება" - დაფინანსდა 4 კონკურსანტი (გრანტის ოდენობა - 63 620 ლარი);
დ) ,,სეზონური სკოლის მოწყობა" - დაფინანსდა 4 კონკურსანტი (გრანტის ოდენობა - 53 399 ლარი);
ე) ,,საჯარო ლექციების ორგანიზება" - დაფინანსდა 8 კონკურსანტი (გრანტის ოდენობა - 6 946,76 ლარი);

"სწავლა საზღვარგარეთ" ქვეპროგრამის ფარგლებში 2018 წლიდან დღემდე გრანტი გაიცა ას ცხრამეტჯერ, ხოლო გაცემული გრანტის ოდენობამ შეადგინა 1 604 300 ლარი:
ა) 2018 წელი _ ქვეპროგრამის ბიუჯეტმა შეადგინა 500 000 ლარი, გაცემული გრანტის ოდენობამ _ 493 700 ლარი, ხოლო გრანტით დაფინანსებულ სტუდენტთა რაოდენობამ _ 33;

6015 ქ. ბათუმი, ლ. გუდიაშვილის ქ. №4
ტელ./ფაქსი: 0422 245370
www. moecs.ge

№4 L. Gudiashvili street, Batumi 6015
Tel./Fax: +995 (422) 245370
www. moecs.ge

ბ) 2019 წელი _ ქვეპროგრამის ბიუჯეტმა შეადგინა 675 000 ლარი, გაცემული გრანტის ოდენობამ _ 673 600 ლარი, ხოლო გრანტით დაფინანსებულ სტუდენტთა რაოდენობამ _ 44;
გ) 2020 წელი _ ქვეპროგრამის ბიუჯეტმა შეადგინა 800 000 ლარი, გაცემული გრანტის ოდენობამ _ 437 000 ლარი, ხოლო გრანტით დაფინანსებულ სტუდენტთა რაოდენობამ _ 23.

,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2020 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის შესაბამისად სამინისტრო, 2020 წელს, განათლების სფეროში გრანტს გასცემს ,,უმაღლესი განათლების ხელშეწყობა" ქვეპროგრამის კომპონენტების: ,,კონფერენციის მოწყობა", ,,სეზონური სკოლა", ,,უცხოენოვანი სამეცნიერო/სახელმძღვანელო ლიტერატურის თარგმა/ბეჭდვა" და ქვეპროგრამის ,,სწავლა საზღვარგარეთ" ფარგლებში.

,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2017 წლის 18 აგვისტოს N01-11/236 ბრძანებით განსაზღვრული სსიპ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების დირექტორის, დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის, დირექტორის/დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში მისი მოვალეობის შემსრულებელი მოადგილის ან მოვალეობის სხვა შემსრულებლის უფლებამოსილებისა და უფლებამოსილების შეწყვეტის რეგისტრაციის წესის თანახმად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანებით 2017 წლის სექტემბრიდან დღემდე დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში რეგისტრაციაში გატარდა ოცდაექვსი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, კერძოდ:
ა) ქალაქ ბათუმის სამი საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;
ბ) ქობულეთის მუნიციპალიტეტის შვიდი საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;
გ) ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ხუთი საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;
დ) ქედის მუნიციპალიტეტის შვიდი საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;
ე) შუახევის მუნიციპალიტეტის ორი საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;
ვ) ხულოს მუნიციპალიტეტის ორი საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი.

2018 წელს, ,,კონკურსები და ოლიმპიადები" ქვეპროგრამის ფარგლებში, საგნობრივ ოლიმპიადაში გამარჯვებულ 24 მოსწავლეს გადაეცა პერსონალური კომპიუტერი; სახვითი ხელოვნების კონკურსის, ლიტერატურული მარათონის, დაწყებითი და საბაზო საფეხურის მოსწავლეებისთვის კონკურსში გამარჯვებულ 81 მოსწავლეს გადაეცა პლანშეტი; სახვითი ხელოვნების კონკურსის, ლიტერატურული მარათონის, დაწყებითი და საბაზო საფეხურის მოსწავლეებისთვის კონკურსში გამარჯვებულ 6 მოსწავლეს გადაეცა 11 დასახელების წიგნი; გამარჯვებულ 5 სკოლას გადაეცა 62 დასახელების წიგნი; ,,სტუდენტთა დახმარება" ქვეპროგრამის ფარგლებში 71 წარჩინებულ სტუდენტს გადაეცა ყურსასმენი, ენერგობანკი, მეხსიერების ბარათი.

2019 წელს, ,,კონკურსები და ოლიმპიადები" ქვეპროგრამის ფარგლებში საგნობრივ ოლიმპიადაში გამარჯვებულ 30 მოსწავლეს გადაეცა პერსონალური კომპიუტერი; სახვითი ხელოვნების კონკურსის, ლიტერატურული მარათონის, დაწყებითი და საბაზო საფეხურის მოსწავლეებისთვის კონკურსში გამარჯვებულ 87 მოსწავლეს გადაეცა პლანშეტი; სახვითი ხელოვნების კონკურსის, ლიტერატურული მარათონის, დაწყებითი და საბაზო საფეხურის მოსწავლეებისთვის კონკურსში გამარჯვებულ 4 მოსწავლეს გადაეცა ენერგობანკი და ყურსასმენი; ,,სტუდენტთა დახმარება" ქვეპროგრამის ფარგლებში 71 წარჩინებულ სტუდენტს გადაეცა ყურსასმენი, ენერგობანკი, ბრენდირებული ჭიქა, ბრენდირებული ჩანთა.

რაც შეეხება კულტურის სფეროს, ,,გრანტების შესახებ" საქართველოს კანონში შესული ცვლილების საფუძველზე შესაძლებელი გახდა სახელოვნებო პროექტების განხორციელება მეტად მაღალორგანიზებულად, მაღალხარისხოვნად და ნაკლები რისკის შემცველობით. კერძოდ, სახელოვნებო პროექტების განხორციელების მიზნით სხვადასხვა მომსახურების ტენდერის საშუალებით შესყიდვისას, არსებობდა რისკი, ტენდერი ვერ შემდგარიყო პრეტენდენტების დაუინტერესებლობის გამო, რაც შესაბამისად, იწვევდა პროექტის განუხორციელებლობას. ასევე, სატენდერო გზით მომსახურების შესყიდვა ხშირ შემთხვევაში ცვლიდა ღონისძიების ხარისხს, ვინაიდან პროექტის ხარისხობრივი მხარე არა ორგანიზატორზე, არამედ ტენდერის გზით გამოვლენილ მიმწოდებელზე იყო დამოკიდებული. პროექტების საგრანტო წესით დაფინანსებამ აღნიშნული პრობლემები აღმოფხვრა, რაც დადებითად აისახა როგორც სამინისტროს, ასევე, ხელოვანთა საქმიანობაზე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ კულტურის მიმართულებით 2018-2020 წლებში საგრანტო წესით სულ დაფინანსებულია 70 განაცხადი/პროექტი:
ა) პროგრამის "კულტურის სფეროს წარმომადგენელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა" ფარგლებში, ხელოვანთა საერთაშორისო ფესტივალებში, კონკურსებში, გამოფენებსა და სხვა ღონისძიებებში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად, 2018 წელს საგრანტო წესით დაფინანსდა 12 პროექტი (87 902 ლარი), 2019 წელს - 15 პროექტი (95 787 ლარი), 2020 წელს - 1 პროექტი (14 553 ლარი);
ბ) პროგრამის "კულტურის პოპულარიზაცია და შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების ხელშეწყობა" ქვეპროგრამის "კულტურის თანამედროვე მიმართულებების განვითარების ხელშეწყობა" ფარგლებში თავისუფალი პროექტების მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად, 2018 წელს საგრანტო წესით დაფინანსდა 6 პროექტი (108 190 ლარი), 2019 წელს _ 5 პროექტი (116197 ლარი), ხოლო მიმდინარე წელს, ამჟამინდელი მდგომარეობით, მიმდინარეობს განაცხადების განხილვა;
გ) პროგრამის "არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და პოპულარიზაცია" ფარგლებში, ტრადიციული რეწვის ოსტატების პროდუქციის განვითარების უზრუნველსაყოფად, 2018 წელს საგრანტო წესით დაფინანსდა 13 ბენეფიციარი (13 000 ლარი), ხოლო 2019 წელს _ 12 ბენეფიციარი (11 900 ლარი);
დ) პროგრამის "კულტურის პოპულარიზაცია და შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების ხელშეწყობა" ქვეპროგრამის "შემოქმედებითი ინკუბატორის მხარდაჭერა" ფარგლებში, ბიზნეს და კულტურის სექტორის თანამშრომლობის შედეგად ინოვაციური პროექტების განხორციელების უზრუნველსაყოფად, 2018 წელს საგრანტო წესით დაფინანსდა 6 პროექტი (29 887 ლარი).

,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2020 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის შესაბამისად სამინისტრო, 2020 წელს, კულტურის სფეროში გრანტს გასცემს შემდეგი პროგრამების ფარგლებში: ,,კულტურის სფეროს წარმომადგენელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა"; კულტურის პოპულარიზაცია და შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების ხელშეწყობა" (ქვეპროგრამა ,,კულტურის თანამედროვე მიმართულებების განვითარების ხელშეწყობა").

2017 წელს, ,,არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და პოპულარიზაცია“ პროგრამის ფარგლებში, ჩატარდა აჭარის რეგიონში სიმღერისა და ცეკვის ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლების ოლიმპიადა, სადაც გამარჯვებულ 15 ანსამბლსა და 468 შემსრულებელს გადაეცა სასცენო სამოსი, საერთო ღირებულებით, 100 000 ლარი, ასევე, 7 ანსამბლს (სიმღერის გუნდს) გადაეცა საკონცერტო ფანდური, საერთო ღირებულებით, 1 470 ლარი. პროგრამის ფარგლებში სასცენო სამოსი და აქსესუარი გადაეცა ხულოს, შუახევის, ქედის, ხელვაჩაურის და ქობულეთის მუნიციპალიტეტების კულტურის ცენტრებთან არსებულ ფოლკლორულ ანსამბლებს და შემსრულებლებს (210 შემსრულებელი), საერთო ღირებულებით 50 000 ლარი.

2018 წელს, ,,არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და პოპულარიზაცია“ პროგრამის ფარგლებში ჩატარდა აჭარის რეგიონში სიმღერისა და ცეკვის ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლების ოლიმპიადა, სადაც გამარჯვებულ 9 ანსამბლს და 297 შემსრულებელს გადაეცა სასცენო სამოსი, საერთო ღირებულებით 50 000 ლარი, ასევე, 7 ანსამბლს (სიმღერის გუნდს) გადაეცა საკონცერტო ფანდური, საერთო ღირებულებით 1 470 ლარი. პროგრამის ფარგლებში სასცენო სამოსი და აქსესუარი გადაეცა ხულოს, შუახევის, ქედის, ხელვაჩაურის და ქობულეთის მუნიციპალიტეტების კულტურის ცენტრებთან არსებულ ფოლკლორულ ანსამბლებს და შემსრულებლებს (142 შემსრულებელი) საერთო ღირებულებით, 40 000 ლარი. პროგრამის ფარგლებში შეძენილ და გაცემულ იქნა 50 ცალი სასაჩუქრე ყაბალახი, საერთო ღირებულებით, 2 490 ლარი. გამოიცა შუახევის ფოლკლორის ამსახველი წიგნი ,,ექსპედიციები აჭარაში შუახევი - 2016" (თანდართული აუდიო-ვიდეო ალბომით), 250 ცალი**,** საერთო ღირებულებით 12 700 ლარი, რომელიც გადაეცა რიგ დაწესებულებებს (მუზეუმები, ბიბლიოთეკები, საქართველოს ფოლკლორის ცენტრი და სხვა) და შუახევის მუნიციპალიტეტის მერიას.

2019 წელს, ,,არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და პოპულარიზაცია“ პროგრამის ფარგლებში, ჩატარდა აჭარის რეგიონში სიმღერისა და ცეკვის ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლების ოლიმპიადა, სადაც გამარჯვებულ 8 ანსამბლს და 218 შემსრულებელს გადაეცა სასცენო სამოსი, საერთო ღირებულებით 49 454 ლარი, ასევე, 10 ანსამბლს (სიმღერის გუნდს) გადაეცა საკონცერტო ფანდური საერთო ღირებულებით 2 500 ლარი. პროგრამის ფარგლებში სასცენო სამოსი და აქსესუარი გადაეცა ხულოს, შუახევის, ქედის, ხელვაჩაურის და ქობულეთის მუნიციპალიტეტების კულტურის ცენტრებთან არსებულ ფოლკლორულ ანსამბლებს და შემსრულებლებს (77 შემსრულებელი), საერთო ღირებულებით 30 000 ლარი. პროგრამის ფარგლებში შეძენილი და გაცემული იქნა 50 ცალი სასაჩუქრე ყაბალახი, საერთო ღირებულებით 1 180 ლარი.

პროგრამის "კულტურის პოპულარიზაცია და შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების ხელშეწყობა" ქვეპროგრამის "კულტურული ღონისძიებების ორგანიზება" ფარგლებში, 2018-2019 წლებში, დაიბეჭდა შემდეგი წიგნი-ალბომები: 2018 წელს _ „აჭარის საგანძური“,

1000 ცალიანი ტირაჟით, 2019 წელს _ „ბათუმი Art”, 800 ცალიანი ტირაჟით. დღეის მდგომარეობით 350-მდე პირზე გაცემულია 410 ცალი „აჭარის საგანძური“ და 250-მდე პირზე გაცემულია 320 ცალი „ბათუმი Art".

პატივისცემით,

მაია ხაჯიშვილი
მ ი ნ ი ს ტ რ ი